

**შპს „ანდერსენ“
ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2023 წლის 31 დეკემბერი

შპს „ანდერსენ“ სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
დასკვნის ბოლო გვერდი	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ანდერსენ“-ის მფლობელებისა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ანდერსენ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ანდერსენ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ „კომპანიისგან“, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი
25 სექტემბერი, 2024 წ.



შპს „ანდერსენ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022 (შესწორებული)
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	492,190	428,157
აქტივის გამოყენების უფლება	6	214,251	367,889
სულ გრძელვადიანი აქტივები		706,441	796,046
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	824,056	344,793
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	7,256,531	879,827
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,080,587	1,224,619
სულ აქტივები		8,787,028	2,020,665
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	100
გაუნაწილებელი მოგება		1,099,409	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		5,702,975	1,099,409
სულ კაპიტალი		6,803,384	1,099,509
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	10	67,045	217,298
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		67,045	217,298
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	10	149,240	140,154
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,752,975	556,085
საგადასახადო ვალდებულებები		14,385	7,618
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,916,599	703,858
სულ ვალდებულებები		1,983,644	921,156
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,787,028	2,020,665

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2024 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი:

ანასტასია ვალვაჩოვა



მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა ღიბრაძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ანდერსენ“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი (შესწორებული)
შემოსავალი	12	30,549,785	2,576,578
სხვა შემოსავალი		1,388	-
სულ შემოსავალი		30,551,173	2,576,578
შრომის ანაზღაურება		(11,305,849)	(1,239,370)
მიღებული სერვისის ხარჯი	13	(2,339,913)	-
ცვეთა		(266,512)	(62,562)
სხვა ხარჯები	14	(691,450)	(192,356)
ფინანსური ხარჯი		(21,358)	(17,896)
მოგება საკუროსო სხვაობიდან		340,863	35,016
მოგება დაბეგვრამდე		16,266,954	1,099,409
მოგების გადასახადი		(544,174)	-
წლის მოგება		15,722,780	1,099,409
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		15,722,780	1,099,409

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2024 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი:

ანასტასია ვალვაჩოვა



მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა ღიბრაძე



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ანდერსენ“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენ.	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 18 მაისისათვის		-	-	-
წლის მოგება		-	1,099,409	1,099,409
მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,099,409	1,099,409
კაპიტალის ცვლილება		100	-	100
ტრანზაქციები მფლობელებთან		100	-	100
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის		100	1,099,409	1,099,509
წლის მოგება		-	15,722,780	15,722,780
მთლიანი სრული შემოსავალი		-	15,722,780	15,722,780
დივიდენდის გაცემა	9	-	(10,019,806)	(10,019,806)
კაპიტალის ცვლილება		900	-	900
ტრანზაქციები მფლობელებთან		900	(10,019,806)	(10,018,906)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის		1,000	6,802,384	6,803,384

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2024 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი:

ანასტასია ვალვაჩოვა



მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა ღიბრაძე



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ანდერსენ“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	2023 წელი	2022 წელი
მიღებული ფულადი სახსრები მომხმარებლებისაგან	24,686,040	1,710,377
სულ შემოსული თანხები	24,686,040	1,710,377
გაცემული ფულადი სახსრები თანამშრომლებზე	(10,302,057)	(635,953)
გაცემული ფულადი სახსრები მომწოდებლებზე	(2,229,868)	(440,472)
გაცემული ფულადი საგადასახადო დავალიანებებზე	(1,347,975)	(71,836)
სულ გაცემული თანხები	(13,879,900)	(1,148,261)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10,806,140	562,116
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(167,522)	(190,944)
შენატანები საწესდებო კაპიტალში	900	100
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(166,622)	(190,844)
სესხები ფიზიკური და იურიდიული პირებიდან	-	455,710
სესხის ძირის დაფარვა	-	(431,692)
სესხის პროცენტის დაფარვა	-	(9,737)
დივიდენდის გაცემა	(10,019,806)	-
საკურსო სხვაობის გავლენა	(61,425)	(27,734)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(10,081,231)	(13,452)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(79,023)	(13,027)
წმინდა ფულადი სახსრები არასაოპერაციო საქმიანობიდან	(79,023)	(13,027)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	479,263	344,793
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	344,793	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	824,056	344,793

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2024 წლის 25 სექტემბერს:

დირექტორი:

ანასტასია ვალვაჩოვა



მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა ღიბრაძე



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ანდერსენ“ (ს/ნ 405533506) 2022 წლის 18 მაისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: კომპიუტერული და პროგრამული მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, №13, ბინა №80

კომპანიის ერთპიროვნული დირექტორია ანასტასია ვალვაჩოვა (4300591E008PB6, BM2846870, ბელარუსი).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ანდერსენ“-ის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- სს Andersen Soft, 303389264 /ლიეტუვა (ლიტვა)/ - 85.1 %
- ოლექსანდრ პედან, 19870411- 04232, FG987886 /უკრაინა/ - 2.7 %
- ვიტალი ვასილენკო, 19880220-07276, FN665770 /უკრაინა/ - 3,6 %
- ალექსანდრ გრიგორიევ, 3200285E026PB2, PD0141371 /ბელარუსი/ - 4.5 %
- შპს Mantah Corporation Limited, HE 438069 /კვიპროსი/ - 4.1 %

დასაქმებულთა რაოდენობა 2023 წლისთვის იყო 207 თანამშრომელი, 2020 წლისთვის 74 თანამშრომელი.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2 მომზადების საფუძველი

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები (ფასს) შესაბამისად.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას აქვს დადებითი წმინდა მოგება. საერთო ჯამში, კომპანიის შემოსავლები იზრდება და მას აქვს საკმარისი კარგი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.5 შეფასებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 21.1-ე შენიშვნაში. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ("IFRIC") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის განმარტება 2 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვრა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;
- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში - ინვესტიორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი
კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2023	31 დეკ 2022
1 დალარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

3.2 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

3.3 იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია 2 წლით და 9 თვის ვადით კომპანია არ აფორმებს გაყიდვებისა და უკუიჯარის შეთანხმებებს. კომპანიას საანგარიშო პერიოდში ქონდა 1 წლამდე იჯარით აღებული ფართები. ყველა იჯარა შეთანხმებულია ინდივიდუალურად და შეიცავს მრავალფეროვან განსხვავებებს.

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტი. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა ადრინდელ პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.4 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხვედებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

3.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და მშენებარე აქტოვებს ცვეთა არ ერიცხება. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ქართულ ლარში

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

3.7 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდით.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრუდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლავებს აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.10 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

5 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2022 წლის 18 მაისი	-	-	-
შემოსვლა	374,721	75,167	449,889
გასვლა	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	374,721	75,167	449,889
შემოსვლა	171,863	11,233	183,096
გასვლა	(6,188)	-	(6,188)
2023 წლის 31 დეკემბერი	540,397	86,400	626,796
დაგროვილი ცვეთა			
2022 წლის 18 მაისი	-	-	-
წლის ცვეთა	(16,612)	(5,120)	(21,732)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	(16,612)	(5,120)	(21,732)
წლის ცვეთა	(96,832)	(16,043)	(112,874)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	(113,444)	(21,162)	(134,606)
საბალანსო ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	358,109	70,048	428,157
2023 წლის 31 დეკემბერი	426,953	65,237	492,190

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

6 აქტივები გამოყენების უფლებით

	ოფისი	სულ
2022 წლის 18 მაისი	-	-
შემოსვლა	408,718	408,718
ცვეთის ხარჯი	(40,830)	(40,830)
2022 წლის 31 დეკემბერი	367,889	367,889
შემოსვლა	-	-
ცვეთის ხარჯი	(153,638)	(153,638)
2023 წლის 31 დეკემბერი	214,251	214,251

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31/12/2023	31/12/2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,251,902	878,104
გადახდილი ავანსები	4,629	1,722
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,256,531	879,826

შპს „ანდერსენ“-ის სავაჭრო მოთხოვნების უდიდეს ნაწილს შეადგენს კომპანია Andersen Germany GmbH-სთან არსებული დებიტორული დავალიანებები, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,401,263 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 878,104 ლარს. აღნიშნული კომპანია ასევე წარმოადგენს შპს „ანდერსენ“-ის დაკავშირებულ მხარეს.

- მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.
- სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.
- სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.
- მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადახადო აქტივი სრულად დაბრუნებადია.

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 16.2-ში.

8 ფული და ფული ეკვივალენტები

	31/12/2023	31/12/2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45,855	13,087
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	778,201	331,706
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	824,056	344,793

ფული და ფული ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 16.2-ში.

9 გაცემული დივიდენდები

წილის მფლობელი	2023 წელი
Closed Joint Stock Company Andersen Soft / 85,10%	9,665,606
Vitalii Vasylenko / 3,6 %	165,600
Mantah Corporation Limited / 4,10%	188,600
სულ გაცემული დივიდენდები	10,019,806

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

2023 წლის ივლისის და დეკემბრის თვეში, კომპანიის მესაკუთრეებზე გაცემულია ჯამურად 10,019,806 ლარის დივიდენდი. 2022 წლის საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ დივიდენდის გაცემა არ ფიქსირდება.

10 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
მიმდინარე ვალდებულებები	149,240	140,154
გრძელვადიანი ვალდებულებები	67,045	217,298
სულ საიჯარო ვალდებულებები	216,285	357,453

	საიჯარო ვალდებულება
2022 წლის 18 მაისის მდგომარეობით	-
შემოსვლა	408,718
გადახდები წლის განმავლობაში	(40,966)
პროცენტის დარიცხვა	7,647
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(17,948)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	357,453
შემოსვლა	-
გადახდები წლის განმავლობაში	(157,964)
პროცენტის დარიცხვა	21,358
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(4,562)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	216,285

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი. აღნიშნული იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორცაა საიჯარო გადასახადელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში. აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარგენილია განცალკევებულად (შენიშვნა 6).

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	745,517	12,214
გადასახდელი ხელფასები	1,001,071	543,871
მოკლევადიანი ოფისის იჯარა	6,387	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,752,975	556,085

შპს „ანდერსენ“-ის სავაჭრო ვალდებულებების უდიდეს ნაწილს შეადგენს კომპანია ANDERSEN spółka-სთან არსებული კრედიტორული დავალიანებები, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 735,988 ლარს. აღნიშნული კომპანია ასევე წარმოადგენს შპს „ანდერსენ“-ის დაკავშირებულ მხარეს.

სავაჭრო ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 16.2-ში

12 შემოსავლები

	31/12/2023	31/12/2022
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	30,549,785	2,576,578
სულ შემოსავალი	30,549,785	2,576,578

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში.

13 მიღებული სერვისის ხარჯი

მიღებული სერვისის ხარჯი მოიცავს, 2023 საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიღებულ მომსახურობებს, როგორიცაა: პროგრამირების, საბროკერო, საშემფასებლო, ანალიტიკური, მარკეტინგული და სხვა ტიპის მომსახურობები.

მიღებული სერვისის უდიდეს ნაწილს შეადგენს კომპანია ANDERSEN spółka-სთან გაწეული ხარჯები, რომელიც შპს „ანდერსენ“-ს სხვადასხვა გამოცდილების მქონე დეველოპერების სახით აწვდიდა პროგრამულ მომსახურებას. გაწეული ხარჯების მოცულობა 2023 წლის განმავლობაში შეადგენს 2,096,278 ლარს. აღნიშნული კომპანია ასევე წარმოადგენს შპს „ანდერსენ“-ის დაკავშირებულ მხარეს.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

14 სხვა ხარჯები

	31/12/2023	31/12/2022
მივლინების ხარჯი	26,933	-
სოციალური დანარიცხების ხარჯი	22,758	718
იჯარის ხარჯი	173,513	84,450
სარეკლამო ხარჯი	147	3,568
დაზღვევის ხარჯი	75,066	5,636
კომპიუტერული ხარჯი	197	-
სხვადასხვა ხარჯი	86,299	39,768
მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	5,829	7
საოფისე ხარჯი	25,716	10,717
საზღვარგარეთ მიღებული მომსახურების ხარჯი	97,179	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	2,521
სხვა საერთო ხარჯი	10,738	12,523
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	845	567
ბანკის მომსახურების ხარჯი	11,589	1,718
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	43,703	10,052
გაყიდული/შემენილი საქონელი	10,375	4,415
კომუნალური ხარჯი	28,421	5,306
იურიდიული მომსახურების ხარჯი	72,143	9,558
სხვა ხარჯები	-	831
სულ სხვა ხარჯები	691,450	192,356

15 ფინანსური ინტრუმენტები

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,256,531	7,256,531	879,827	879,827
ფული და ფულის ექვივალენტები	824,056	824,056	344,793	344,793
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,752,975)	(1,752,975)	556,085	556,085
საიჯარო ვალდებულებები	(216,285)	(216,285)	(357,453)	(357,453)

16 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკის ფაქტორები

16.1 საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებებთან მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

16.2 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2023	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	272,585	6,979,317	4,629	7,256,531
ფული და ფულის ექვივალენტები	4,587	773,614	45,855	824,056
სულ ფინანსური აქტივები	277,172	7,752,931	50,484	8,080,587
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	(216,285)	-	-	(216,285)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(84,288)	(1,616,923)	(51,763)	(1,752,975)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(300,573)	(1,616,923)	(51,763)	(1,969,259)
წმინდა პოზიცია	(23,401)	6,136,008	(1,279)	6,111,328
2022	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,275	861,336	16,216	879,827
ფული და ფულის ექვივალენტები	0	331,706	13,087	344,793
სულ ფინანსური აქტივები	2,275	1,193,042	29,302	1,224,619
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	(357,453)	-	-	(357,453)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(112,258)	(419,633)	(24,194)	(556,085)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(469,710)	(419,633)	(24,194)	(913,537)
წმინდა პოზიცია	(467,435)	773,409	5,108	311,082

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო ან გაუფასურებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
მოგება-ზარალი:	2023	2022	2023	2022
ლარის გამყარება	3,510	70,115	920,401	116,011
ლარის დევალვაცია	(3,510)	(70,115)	(920,401)	(116,011)

16.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	824,056	-	-	824,056
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,256,531	-	-	7,256,531
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,080,587	-	-	8,080,587
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,752,975)			(1,752,975)
ფინანსური ვალდებულებები	(149,240)	(67,045)		(216,285)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(1,902,215)	(67,045)	-	(1,969,259)
წმინდა პოზიცია	6,178,373	(67,045)		6,111,328

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	344,793			344,793
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	879,827			879,827
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,224,619	-	-	1,224,619
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(556,085)			(556,085)
ფინანსური ვალდებულებები	(140,154)	(217,298)		(357,453)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(696,239)	(217,298)	-	(913,537)
წმინდა პოზიცია	528,380	(217,298)		311,082

კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

16.4 კაპიტალის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების შესაბამისად იმ იურისდიქციებში, სადაც კომპანია ოპერირებს.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
მთლიანი კაპიტალი	6,803,384	1,099,509
ფული და ფულის ეკვივალენტები	824,056	344,793
სხვაობა	5,979,328	754,717
მთლიანი კაპიტალი	6,803,384	1,099,509
სესხები	-	-
სხვაობა	6,803,384	1,099,509
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.88	0.69

17 გაუთვალისწინებელი გარემოებები

17.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

18 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- a. მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- b. პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- c. ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- d. კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- e. ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- f. მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- g. დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისათვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

18.1 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

	სავაჭრო მოთხოვნები	სავაჭრო ვალდებულებები
Andersen Germany Gmbh	6,401,263	-
ANDERSEN spółka z o. o.	-	694,464

ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

	სავაჭრო მოთხოვნები	სავაჭრო ვალდებულებები
Andersen Germany Gmbh	878,104	-

ბრუნვა 2023 წლის განმავლობაში

	სავაჭრო მოთხოვნები	სავაჭრო ვალდებულებები	მოკლევადიანი სესხი
Andersen Germany Gmbh	25,139,193	-	-
Andersen Soft UAB	-	-	-
Andersen FZCO	8,914	-	-
ANDERSEN spółka z o. o.	-	2,096,278	-

ბრუნვა 2022 წლის განმავლობაში

	სავაჭრო მოთხოვნები	სავაჭრო ვალდებულებები	მოკლევადიანი სესხი
Andersen Germany Gmbh	1,681,905	-	-
Andersen Soft UAB	914,242	-	455,710

18.2 ოპერაციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში

	2023 წელი	2022 წელი
მენეჯმენტის ანაზღაურება	148,856	46,658

შპს „ანდერსენ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კომპანიის მიერ მესაკუთრეებზე, მთელი წლის მანძილზე ივლისის თვის გარდა, გაცემულია ჯამურად 15,931,970 ლარის დივიდენდი. დასკვნის გამოშვების დროისათვის ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

20 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

ანასტასია ვალვაჩოვა



მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა ღიბრაძე

